№ 9. სახალხო გაზეთი № 9.

კვირა, 16 მაისი 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის
ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო
# სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეული
## სურათებიანი დამატება

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური**

**დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ღ იმხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

******ხელის-მომწერთა საყურადღებოდ******

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Больщая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

**ელისაბედ ანტონის ასული ჯავახიშვილი და შვილობილი** ტფ. ქართულ გიმნაზიის მოწაფე **გიორგი ცისკარაშვილი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 16 მაისს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქნება წლის წირვა პანაშვიდი განსვენებულის

### ექიმ ლუკა ანტონის ძის ჯავახიშვილის

სულის მოსახსენებლად. (2—275—2)

**დავით იოსების ძე ელიაზაროვი**, ნინო გრიგოლის ასული ელიაზაროვისა და შვილები **მართა და ლიზა იოსეფას ასულნი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას—პირველი დედის, მეორე დედამთილის, მესამენი დედის

### ნატალია (ნატო) ფილიპეს ასულის ელიაზაროვისას.

დაკრძალვა სამშაბათს, 18 მაისს, წმ. ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება დილის 10 ს. წირვა და პანაშვიდი გარდახდილ იქნება ალექსანდრე ნეველის ეკკლესიაში. გამოსვენება საკუთარ ბინიდან, კიროჩნის ქ. № 16. (2—278—1)

## სახაზინო თეატრი
**რუსული დრამა**

ნ. დ. კრუჩინინის და მ. ნ. მარტოვის დირექცია.

### „კაპეიკის"
### საზოგადოების სასა გებლოდ

პარასკევს, 21 მაისს, გაიმართება წარმოდგენა; დადგმული იქნება:

I „**ზღუდეთა შორის**", 3 სურათი ოჯახურ ცხოვრებიდან, სიო ქანტურაშვილისა.

II „**იუბილეი**", ერთ-მოქმედებად ა. პ ჩეხოვისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ((1—280—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.**: შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელ. ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.
**გორბოვსკი-ზარანეკი ე. ვ.** თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.
**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.
**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.
**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
**პაპოვი ვ. ა** ქურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
**სობოლევსკი გ. გ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—177)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
**ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—341)

## ქართული თეატრი
კვირას 16 მაისს გაიმართება
### კონცერტი
### კ. ფოცხვერაშვილისა

შესრულებულ იქნება: 1) ქართული ეროვნული სიმღერები ხოროსა და ორკესტრისათვის შემუშავებული კ. ფოცხვერაშვილის მიერ. 2) ბრძოლა ამირანისა ბაყბაყ დევთან" სიმფონიური ცოცხალ სურათებიანი ესკიზი მუსიკა კ. ფოცხვერაშვილისა. 3) „აშენდა საქართველო" სცენები ქართველ სტუდენტთა ცხოვრებიდგან კ. ფოცხვერაშვილისა. წარმოდგენის დაწყების წინ ორკესტრი შეასრულებს დავლურსა და ლეკურს ბალანჩივაძის ოპერიდან. (თამარ ცბიერი) მეორე ანტრაქტში შესრულებულ იქნება ქართული მარში იპოლიტოვ-ივანოვის სიუტიდან „ივერია" სიმფონიური ესკიზის ცოცხალს სურათებს დასდგამს მხატვარი ვ. ზომმერი.

ხოროში მონაწილეობას იღებს 100 ქალი და კაცი. ორკესტრში 40 კაცი.

(7—უ.—7) ლოტბარი **კ. ფოცხვერაშვილი**

## ტფ. ქართულ ფილარმონიულ საზ. გამგეობა

ამით აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ წლიური საზოგადო კრება დანიშნულია სამშაბათს, **25** მაისისათვის, დილის 12 საათზე. სამეურნეო ბანკის სადგომში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი).

**განსახილველი:**

1. ანგარიში 1909 წლ. საზოგადოების მოქმედებისა, სარევიზიო კომისიის თანადასკვნით.
2. ხარჯთ-აღრიცხვა 1910 წლ.
3. მოხსენება საზოგადოების წესდების მე-23 მუხლის შეცვლის შესახებ.
4. ამორჩევა საპატიო და ნამდვილ წევრთა.

ეს კრება **მეორედ** არის დანიშნული და რამდენი წევრიც უნდა დაესწროს კრება მაინც შესდგება. (3—3)

## გორის მთავრობის ვაჟთა ექვს-კლასიანი
## პროგიმნაზია

**(გადაკეთდა ექვს კლასიანად 1 სექტემბრიდან 1910 წელს).**

ამით აცხადებს, რომ პროგიმნაზიის სხვა და სხვა კლასებში შესასვლელი გამოსაცდელი ეგზამენები დაიწყება ამა წლის 2 ივნისს. (3—ნ.—2)

## ტფილის ქალაქის გამგეობა

შეუდგა ქალაქ ტფილისის ყველა უძრავ ქონებათა ხელმეორედ შეფასებას. რომ ამ ქონებათა პატრონებს საშუალება ჰქონდეთ პირადათ, ან თავიანთ რწმუნებულთა საშუალებით დაესწრონ თავიანთ ქონების შეფასებას, ქალაქის გამგეობა სთხოვს ყველა იმ მესაკუთრეს, რომელნიც დასაფასებელ ადგილას არა სცხოვრობენ, თავის დროზე შეატყობინონ დამფასებელთა აღმსრულებელ კომისიას (ქალაქს გამგეობა, საფინანსო განყოფილება) თავიანთი ადრესები, სადაც დაეგზავნებათ უწყება, თუ როდის მოხდება მათი ქონების დაფასება. ამავე ადრესით შეატყობინებენ ყველაფერს, რაც ამ დაფასების საქმეს შეეხება. (2—ნ.—2)

მოკლე ხანში გაიხსნება
## ბალი და ბუფეტი
## „მუზას" თეატრთან
მიხეილის პრ. № 143.

თუ რა დღეს გაიხსნება ბალი ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—ხალ.—1)

**კვირას, 16 მაისს,**
**დიდუბეში, ეკკლესიის მახლობლად, მარცხნივ მხარეს**
### გაიმართება კავკასიური
### ჭიდაობა

საგანგებოდ ჭიდაობისათვის აგებულ-დახურულ შენობაში **საქველმოქმედო პირუტყვთა მფარველ საზოგადოების სასარგებლოდ.** დღეს იჭიდავებენ 5 წყვილი. აგრეთვე მონაწილეობას მიიღებენ ჭიდაობის მოყვარენიც:

1. **ჯიბგირი და იაშვილი**, გამოჩენილი მოჭიდავე. 2. **მიხა ქურხული და არჩილ დეკანოზოვი**; 3. **ისაკ მთიული და პეტრიაშვილი**; 4. **კახელი და ლომიძე**; 5. **მუშა ზეუა და პეტრიაშვილი.**

დასაწყისი საღამოს 5 საათზე. სრული უფლება აქვს ადმინისტრაციას, გამოსცვალოს მოჭიდავენი

(1—282—1) ადმინისტრატორი **ნ. კიკნაძე.**

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი გირპიჩრაია). (0—124)

**ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—184)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი ა ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტროთერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (75—ვკ.—71)

**ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აზნაურის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—436)

**ექიმი დ. ახვლედიანი** იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ.

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.
**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.
**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.
**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.
**ბოგუცკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.
**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.
**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.
**ნოვიცკი**—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2.
**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ საათ.
**კალამქაროვი**—ებ., ქალ., ყოველდღე, კვირის გარდა 4—5 საათ.
**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.
**ასპიროვი**—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს.
**ფონდოევი**—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 4—5 ს.
**ლიმონი**—კბილის ექიმი. ყოველ დღე 9—$11^1/_2$ ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—ნ.—45)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—65)

**ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი** იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—ვკ.—43

**ექიმი შ. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—92)

**ექიმი ბავშვებისა ქუთაისში გ ა დ რ ი ძ ე**

1 მაისიდან გადადის საკუთარ სახლში გენერლის ქუჩაზე ავადმყოფ ბავშვების გასინჯვა და აცრა. 9—12 და 5—7 ს. 25—ნ.—13

## სცენაზე მოღვაწეობის მსურველთა საყურადღებოდ

**1. გამოსაცდელ წარმოდგენაში** მონაწილეობის მსურველნი (დებიუტანტები) უნდა გამოცხადდენ დრამ. საზოგად. სადგომში (სათავ.-აზნ. ქარვასლა) უთუოდ 20 მაისს.

**2. დებიუტანტმა უნდა იცოდეს** ზეპირად ერთი რომელიმე ლექსი ანუ მონოლოგი, სცენა, რომელსაც წაიკითხავს გამოცდაზე რეჟისორისა და ან გამგეობის ერთ-ერთი წევრის თანადასწრებით.

**შენიშვნა:** პიესაში როლი მიეცემა მხოლოდ იმას, ვინც წაკითხვაში სასცენო ნიჭსა და უნარს გამოიჩენს — რეპეტიციები გაგრძელდება არა ნაკლებ ათი დღისა.—მუდმივ დასში მოწვევა დამოკიდებულია წარმოდგენის შედეგზე და გამგეობის შეხედულებაზე. დებიუტანტების წასვლა-მოსვლისა და ტფილისში ცხოვრების არავითარს ხარჯს გამგეობა არ კისრულობს.

**ქართ. დრამატ. საზოგ. გამგეობა**

## ქ. თელავში
### იყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე
## ჭრა-კერვის
### წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით.

**ახალი მეთოდი.**

ექვს ნაწილად: ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული.

**სოფიო ი. სიმონოვის მიერ.**

ფასი ყდით 3 მან., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. телавь, „Школа кройки и шитья Софiи Iосифовны Симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ.

(10—ფ.—5)

# დეპეშები
(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 მაისი.

## საზღვარ-გარედ.

**ტანჟერი.** სულთანმა მულაი-ჰაფიდმა დიპლომატიურ კორპუსის უფროსს გაუგზავნა ნოტა, რომელშიაც აცხადებს, რომ მან გადასწყვიტა დღეიდან თავის სახელმწიფოში სხეულით დასჯა მოსპოს.

**რიო-დე-ჟანეირო.** ბრაზილიის სხვა და სხვა ქალაქებში გამართეს მანიფესტაციები არგენტინის წინააღმდეგ. ბაიაში და სანტოსში არგენტინის საელჩოს დაეცა ხალხის ბრბო და ფარები ჩამოგლიჯა, წესიერება აღადგინეს.

**რომი.** „ტრიბუნა" ჰკიცხავს ოსმალეთის მთავრობას, რომ ის ალბანიასა ბოლგარია და საბერძნეთთან გამწვავებულ ურთიერთობის მოწესრიგების მაგიერ კრიტეს საქმეში დიდს პრეტენზიებს აცხადებსო.

**პარიზი.** ოფიციალურად გამოირკვა, რომ დაძირულ წყლის ქვეშ მავალ ნავზე „პლიუვიოს"-ზე 25 კაცი იყო, მათგან სამი აფიცერი.

**ბომბეი.** 13 მაისს ცეცხლმა 1000 სახლამდე გაანადგურა.

**კალე.** ნაშუადღევის 5 საათსა და 30 წუთზე მოვიდა წყალქვეშ მავალი ნავი „ვანტოზი", მაგრამ წყლის ქვემო ნაწილის ძლიერი დენის გამო ჩაძირულ „პლიუვიოზს" ვერ მიუახლოვდა. „პლიუვიოზი" შუადღის 12 საათსა და 30 წუთზე გაკიდა სავარჯიშოდ. ესე ორ საათზე ნავი ფოსტის ორთქლმავალს „პადეკალეს" დაეჯახა. ამის შემდეგ ნავის წინა ნაწილი 10 წუთის განმავლობაში წყლის ზემოდან მოსჩანდა, მაგრამ ჩაიძირა. ეტყობა ნავი გაიხვრიტა და წყლით გაივსო. მოვიდა საზღვაო მინისტრი და ბარონი. 4 საათზე წყალში მცოცავნი შეეცადნენ „პლიუვიოზთან" ჩასვლას.

**ბერლინი.** ლანდტაგი კვლავ შეუდგა არჩევნების კანონ-პროექტის განხილვას. 13 მაისს მომხდარ სხდომებზე ყველა ფრაქციებმა გადასწყვიტეს არ მიიღონ კანონპროექტი ზედა პალატის რედაქციით. დღევანდელ სხდომის დაწყებამდე მინისტრ-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თუ ლანდტაგი და ზედა პალატა არ შეთანხმდნენ, შემდეგი მუშაობა უნაყოფო იქნებაო.

**ლონდონი.** ნიუ იორკში, კორკის საგრაფოში 13 მაისს რედმონდის მომხრეებს ობრიენის მომხრეებთან შეტაკება მოუვიდათ. რამდენიმე სახლი დაანგრიეს. პოლიცია ვერ ადგენს წესიერებას. სროლის დროს მოჰკლეს ერთი კაცი.

**ბერლინი.** დეპუტატთა პალატამ უარყო არჩევნებში მონაწილეობის კანონ-პროექტის მეექვსე მუხლი. ხმის უმრავლესობით ნაციონალ-ლიბერალების და თავისუფალ კონსერვატორების წინააღმდეგ. ამის შემდეგ მინისტრ-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამ კანონ-პროექტის განხილვას ამას იქით მნიშვნელობა აღარ ექნებაო. სხდომა დაიხურა.

**ბერლინი.** რადგან ჩრდილოეთ ამერიკამ პრეტენზია განაცხადა ჩინეთის რკინის გზების გაყვანას საქმეში, ამიტომ პარიზში ამის შესახებ თათბირი მოხდა. თათბირზე გადასწყდა რომ ხანკო კანტონის რკინის გზის გაყვანის უფლება ეძლევა ინგლისს. გერმანიას შეუძლიან გაიყვანოს ხანკოუ-სეჩუანის რკინის გზა 800 კილომეტრის მანძილზე, აქედან 200 კილომეტრის მანძილზე ტეხნიკებათ ამერიკელები უნდა იყვნენ. ამას გარდა განზრახულია

1600 კილომეტრის მანძილზე რკინის გზის გაყვანა, საიდგანაც ექვსას ექვსსი კილომეტერი ინგლისს და საფრანგეთს შეხვდება, ხოლო 400 კილომეტრი ჩრდილოეთ ამერიკას. თუ კიდევ რომელიმე გზის გაყვანა იქნები საჭირო გერმანიამ, საფრანგეთმა და ინგლისმა უნდა გაიყვანონ თანასწორ ფულებით.

### ოსმალეთი

**სალონიკი**. დრენიცისაკენ გალაშქრება გრძელდება. გუშინ სოფელ ოსტროზუბთან დაბაბოჩიჩთან პირველად მოხდა შეტაკება. პატარა რაზმები დადიან სოფლიდან სოფელ და იარაღს ართმევენ სერბიელებს. მახმუდ - შევკეთ-ფაშა და თურგუთ-ფაშა გუშინ წავიდნენ გილანისკენ და დღეს ისევ ფერიზოვიჩში დაბრუნდნენ. როგორც ეტყობა სამხედრო მინისტრი აქ დარჩება სანამ დრენიცისკენ გალაშქრება არ გათავდება. გუშინ პეტრიწის ახლოს ბოლგარელებს და ჟანდარმებს შეტაკება მოუვიდათ. ჟანდარმთა მხრივ მოჰკლეს ორი, ბოლგარელებს მოუკლეს ერთი კაცი.

### სპარსეთი

**ურმია**. სალმასიდან იუწყებიან, რომ დასავლეთის სოფლები, რომელნიც მაჰმადიან სუნებითაა დასახლებული, თურქებმა დაიპირესო, ასკერთა რიცხვი თან და თან მატულობს. ოსმალეთის ელჩმა ძალით დაჭერილ ოლქებში მამულის პატრონებს მოწმობა ჩამოართვა რომ ოსმალეთის ასკერები კარგათ იქცევიან და რომ მათი ქცევით კმაყოფილნი არიანო.

### რუსეთი

**ოდესა**. 15 მაისისთვის დანიშნული გამოფენა 25 მაისისთვის გადაიდო.

**სამარა**. ბუგულმის ახლოს ღამე თავს დაესხნენ ფოსტას. დასჭრეს ფოსტალიონი, ფული ვერ წაიღეს.

**ხარკოვი**. საჯირითო მოედანზე ადგილობრივ-საშუალო სასწავლებლების და ტამბოვის, ნოვოჩერკასკის, სუმის, ტაგანროგის, ვორონეჟის, ოსტროგოჟის, ახრითის, ბელოგოროდის და სლავიანის გიმნაზიების მოწაფეებმა გამართეს გიმნასტიური ვარჯიშობა. თვითეული სასწავლებლის მოსწავლენი თავიანთ ბაირაღებით და ორკესტრებით იყვნენ. დაესწრო მრავალი ხალხი. ვარჯიშობამ აღტაცება გამოიწვია დამსწრეთა შორის.

**ნოვოჩერკასკი**. ქალთა უმაღლეს განათლების დამხმარე საზოგადოება შემოდგომისთვის ხსნის ქალთათვის უმაღლეს კურსებს. ჯერ ჯერობით მხოლოდ საბუნების მეტყველო ფაკულტეტი გაიხსნება.

**დონის როსტოვი**. ნახიჩევანის ახლოს საქონლის მატარებელი ლიანდაგიდან გადავარდა. დაიმსხვრა რამდენიმე ვაგონი, მოკვდა მემანქანე, რამდენიმე კაცი დაშავდა, გზა გასაწმენდია. როსტოვიდან მატარებლების მიმოსვლა ნაპირის ლიანდაგით სწარმოებს.

**ეკატერინებურგი**. ვერხისეთის ოლქში ძლიერი ქარის გამო ცეცხლი გაუჩნდა თითბრის ქარხანას. დაიწვა ქარხანა და ელექტრონის სადგური. ზარალი 100,000 მანეთამდეა.

**მოსკოვი**. პროფესორთა დისციპლინარულმა სასამართლომ საყვედური გამოუცხადა უნივერსიტეტის იმ სტუდენტებს, რომელთაც პურიშკევიჩის ინსინუაციების წინაამდეგ კრება გამართეს.

**ვარშავა**. მონუშკოს ქუჩაზე მომხდარ აფეთქების მიზეზი ვერ გამოარკვიეს. ფიქრობენ, რომ იქ ასაფეთქებელი ნივთიერება ინახებოდა. მაღაზიის მოსამსახურენი შეიპყრეს.

**ჩერნიგოვი**. სამხედრო სასამართლომ გაარჩია 1907 წ. 16 აპრილის მგლინის მაზრის დაბა პოჩეპში ბიხოვის ოჯახის, სამი კაცის და მოსამსახურის მოკვლის საქმე. ორს სასამართლომ თხუთმეტი წლით კატორგა გადაუწყვიტა, ერთს ორი წლით ციხეში დაპატიმრება.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

**✦ თავად-აზნაურთა საგანგებო კრება**. 14 მაისს, დეპუტატთა საკრებულოში გუბ. მარშლის თავ. ბაგრატიონ დავითაშვილის თავმჯდომარეობით ტფილისის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება მოჰხდა, რომელზედაც განხილულ იქმნა საკითხი კახეთში რკინის გზის გაყვანის შესახებ. კრებაზე სამი უმთავრესი აზრი გამოითქვა. ინჟ. თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი საჭიროდ სცნობდა თავად-აზნაურობამ თვითონ იკისროს რკინის გზის გაყვანაო. მეორენი: თავ. ბაგრატიონისა გენერალ ყაზბეგისა და ნ. ზ. ერისთავის მიმდევარნი ამტკიცებდნენ, რომ თავად-აზნაურობას არც მომზადება აქვს და არც ფული ამ საქმისთვის, ამისთვის კონცესია გადაეცეს რომელსამე კერძო კომპანიას იმ პირობით კი, რომ თავად-აზნაურობას დაუბრუნდეს თავისი დახარჯული ფულიო. მესამენი—დეპუტატთა საკრებულოს უმრავლესობის აზრის გამომხატველნი — ამტკიცებდნენ, რომ საჭიროა რკინის გზის გაყვანა გადაეცეს რომელსამე კონტრ აგენტს, მხოლოდ თავად-აზნაურობა მაინცა ამის პატრონად უნდა დარჩესო. ოთხი საათის სჯა-ბაასის შემდეგ კრებამ შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: 1) მიეცეს მარშალთა და დეპუტატთა კრებას ფართო უფლება, როგორც რკინის გზის კონცესიის დამტკიცებისა, ისე მისი რეალიზაციისა. ნება მიეცეს აგრეთვე ეს უფლება მთლად, ანუ რომელსამე ნაწილში ვისაც უნდა გადასცეს და მიეცეს დეპუტატთა საკრებულოს 5000 მან. 2) მიეცეს დეპუტატთა საკრებულოს 5.000 მან. საქმის დასათავებელ ხარჯად და ეს ფული შეტანილ იქმნას 1910 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში, კრებამ პირველ საათიდან ხუთ საათამდე გასტანა.

**✦ ხელთნაწერების დაბრუნება**. ამას წინად დაპატიმრებულ „დროების" რედაქტორის ი. აგლაძის ხელთნაწერები და წიგნები ჟანდარმებმა უკან დააბრუნეს. ასევე დააბრუნეს გ. მ. ლასხიშვილსა, ქ. ი. ქავთარაძისა და შ. ამირაჯიბის ხელთნაწერები და წიგნები. გაზეთ „დროების" დაპატიმრებული თანამშრომელნი და რედაქტორი ჯერ არ გაუნთავისუფლებიათ.

**✦ სალიტერატურო დილა ქართულ გიმნაზიაში** დღეს ტფ. ქართულ გიმნაზიაში გაიმართება სალიტერატურო დილა.

**✦ ნიაღვარი ტფილისში**. 14 მაისს, ტფილისში კვლავ დიდი წვიმა მოვიდა. წვიმას სეტყვაც მოჰყვა. წვიმა და სეტყვა საგრძნობელი იყო ქალაქის შუა ადგილას, სადაც იაღვარი მოვარდა. ქალაქის განაპირა ადგილებში წვიმა პატარა იყო და არც ზარალი მოუტანია.

**✦ ახალი უფროსი**. გუშინ, 15 მაისს თფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს ახალ უფროსს ყველა უბნის ბოქაულნი წარუდგნენ. უფროსმა შესაფერი დარიგებანი მისცა.

**✦ ქონებათა შეფასება**. ქალაქის უძრავ ქონებათა შეფასება დაიწყება არა უგვიანეს 20 მაისისა. წინასწარი მუშაობა უკვე დაწყებულია.

**✦ ქალთა კავშირი**. კავკასიის ქალთა კავშირის წევრთა კრება დანიშნულია 19 მაისისათვის. კრება, სხვათა შორის, აირჩევს კავშირის გამგეობის ახალ წევრთ.

**✦ ქალაქის საბჭო**. 17 მაისს ქალაქის საბჭოს ოცზე მეტი განსახილველი საქმე აქვს.

**✦ კრება**. დღეისთვის სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების სადგომში დანიშნულია სომეხთა დრამატიულ საზოგადოების წევრთა კრება.

**✦ მეეტლეთა თავგასულობა**. მეეტლეთათვის ახალი ნიხრი იქნა დაწესებული, მაგრამ მგზავრებს ისინი ისევ ძველის ნიხრის კვალობაზე ახდევინებენ ფულს. ამიტომ პოლიცმეისტერმა სასტიკი განკარგულება მოახდინა, რათა დაუყოვნებლივ შედგენილ იქნეს ოქმები იმ მეეტლეებზე, რომელნიც დაწესებულ ნიხრს დაარღვევენ.

**✦ უპასპორტონი**. 14 მაისს პოლიციამ ქალაქის სხვა და სხვა უბანში 30-მდე უპასპორტო დაპატიმრა.

**✦ „თეატრი და ცხოვრება"**. გამოვიდა მორიგი ნომერ კვირეულ სათეატრო ჟურნალ „თეატრი და ცხოვრები"-სა, ჟურნალში, სხვათა შორის, მოთავსებულია აკაკის ლექსი „თანამედროვე ქალი" და ივ. გომართელის წერილი „მუსიკის მნიშვნელობა".

**✦ კლდის ჩამოწოლა**. 15 მაისს ღამის ორ საათზე ციციანოვის აღმართზე კლდე გადმოწვა და რიყის ქუჩაზე დაანგრია ცირუ მამედ ოქჩიევის სახლი, სადაც მოთავსებული იყო ნომრები „შემახა". დაინგრა ერთი ოთახი და სამზარეულო. სამზარეულოში მძინარე მოსამსახურე ჰასან ალი გადინოვი გიჟეჟა და იმ წამს გარდაიცვალა. ნომრებში მცხოვრებნი დაფრთხნენ და გარედ გამოცვივდნენ.

**✦ სამუსიკო სასწავლებელი**. რადგან ტფილისის სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეთათვის დღემდე არავითარი ფორმის ტანისამოსი არ არის შემოღებული და ისინი თავის ნებით ატარებენ სხვა და სხვა ფორმის ტანისამოსს. ტფილისის პოლიცმეისტერმა დაავალა პოლიციელით, რომ მათ ფორმის ტანისამოსის ტარება აუკრძალონ.

**✦ გამოვიდა**. ყოველ-კვირეული გაზეთ „მოგზაური"-ს მეოთხე ნომერი შემდეგი შინარსით: მეთაური: ცხოვრება და კანონი.—ვინ არის დამნაშავე, სანადონის.—ჟურნალ—გაზეთებიდან.—სახელმწიფო დუმა.-სახელმწიფო საბჭო.—წერილები თეირანიდან, რასულ-ზადესი.—უმუშევრობა, პ. გელეიშვილისა.—გ. რობაქიძის სალიტერატურო სალამო და ი. გომართელის გამოსვლა, ახალგაზდასი.—ეკონომიური ცხოვრების განვითარება, შვარცისა.—მუშათა კავშირები თფილისში, მ. ჩ—ლისა.—სოციალიზმი და ანარქიზმი, რაიხერბერგისა.—თეატრი და ხელოვნება.—განცხადებანი.

**✦** ქაშვეთის ეკკლესიის მთავარი ხიკოლოზ ოქრომჭედლიშვილი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ის მუქთად დაუთმობს თავისთან ბინას სოფლის ინტელიგენტთ, მღვდელთ ან მასწავლებელთ, ერთს ან ორ კაცს უპირატესობა ეძლევა ავადმყოფთ, გარდა ჭლექიანებისა. ადრესი: სამების ქ. № 3.

## მოწერილი ამბავი

**ლეჩხუმის მაზრა**. ყველას მოეხსენება თუ რა ძლიერ ჩამორჩენილია ლეჩხუმის მაზრა სწავლა განათლების მხრივ საქართველოს სხვა ნაწილებთან შედარებით. მცხოვრებთა გაუნათლებლობა ბადებს სხვა და სხვანაირ ცრუმორწმუნეობას, რომელიც ყოველის მხრივ წუშლედ კვალს ამჩნევს მცხოვრებთა კეთილდღეობას. სხვათა შორის ამით აიხსნება მევიდრთა უკიდურესი სიდარიბე. აქაურ ხალხის ერთ წლის შემადგენს აბრეშუმის ჭიის სიძლევილი; ამ სასარგებლო ჭიის გავრცელებას ხალხი არამც თუ ხელს არ უწყობს, სასტიკადაც სდევნის. საფუძველი ამ საქციელისა გახლავთ ის ცრუმორწმუნოება, რომელიც ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი აქაურ ხალხს: ვითომც აბრეშუმის ჭიის სიცოცხლე საწყენია წმინდანებისათვის, რომელთა განრისხების შედეგათაც ბუნების სასტიკ მთავლენებს სთვლიან: ქარს, სეტყვას, გვალვას და სხ... ამ ერთი წლის წინად ეს ცრუმორწმუნოება ალაგ-ალაგ ძლეულ იქმნა და აბრეშუმის მოშენება იწყეს, მაგრამ ეს გარემოება ხალხის თვალში შარანდელ გვალვის და მოუსავლობის მიზეზად გახდა. მდგომარე წელს კი ხალხმა საგანგებო ზომებიც კი მიიღო აბრეშუმის წინააღმდეგ: მაგ. ერთი საზოგადოების მცხოვრებნი (სახელ. დეხვირის, რომელიც შვიდი სოფლისაგან შესდგება.) შეფიცულნი არიან, არავინ აბრეშუმის დაყენება არ განიზრახოს. ამნაირად ისპობს კეთილდღეობა ქონებრივ საშუალებას გაჭირვებული დროისათვის სასურველია ამ საქმეს ყურადღებით მოეპყრან სოფლის მასწავლებლები და მღვდლები, რომელთაც შეუძლიათ საქმით თუ სიტყვით რამოდენიმეთ გავლენა იქონიონ ხალხზე. გამოცდილები დამტკიცებულია, რომ ამ კუთხის საუკეთესო ჭიერი სამაგალითო თვისებების ბუდეს, ზრდის რომელიც აბრეშუმის პარკს საუცხოვო ღირსებას აძლევს. თვით მაზრის უფროსიც, რომელიც ძლიერ სცდილობს ხალხის ეკონომიურად წარმატებას ხშირად ჰქონია მასთან ბაასი აბრეშუმის გავრცელების შესახებ მაგრამ მცხოვრებნი ჯერ კიდევ ძველ კალაპოტში სდგანან. **ქალაძე**.

—

**სოხუმი**. ამიერ-კავკასიაში, მგონი არც ერთ ქალაქს იმდენი ჭაპანწყვეტა არ გამოუვლია თვითმართველობის დაარსებისათვის, როგორც სოხუმს. სოხუმი რადგან განსაკუთრებულ პირობებშია. რუსეთის კანონების მხარის აქცევა ადვილ საქმედ მიაჩნიათ. საშინელი თვითნებობაა და საეჭვოა, რომ ასეთი რამ სხვაგან სადმე ხდებოდეს. თავიდანვე სოხუმში ერთგულნი სკით

## მუნიციპალური სოციალიზმი

(შემდეგი*)

### III.

**პოლიტიკური ნაწილი.**

საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის მოთხოვნილებანი მუნიციპალურ პოლიტიკაში გამოიხატებიან: ა) **კომმუნალურ ავტონომიის** განხორციელებაში. ეს იმას ჰნიშნავს, რომ კომმუნა, როგორც თვითმმართველ ერთეულს, უნდა ეპყრას სრული დამოუკიდებლობა და განსაკუთრებული უფლება თავის ბიუჯეტის მოხმარისა; ბ) **კომმუნათა შორის თავისუფალ შეთანხმების უფლების გაფართოვებაში**, ვინაიდან ოდნავ ეს უფლება ეხლაც შეწყნარებულია; ასეთი შეთანხმების უფლება ნიშნავს საკომმუნათა შორისო სინდიკატების დადგენას; გ) რეფერენდუმის უფლებას მუნიციპალურ მოქმედების სფეროში; დ) მუნიციპალურ საბჭოების წევრთათვის და საზოგადოთ ყველა საარჩევნო თანამდებობის აღმასრულებელთათვის სასყიდლის დანიშვნაში და დასასრულ მუშათა და მოსამსახურეთა (მუნიციპალიტეტის და დეპარტამენტის) სინდიკატების აღიარებაში მუნიციპალიტეტის მიერ და სამსახურში დანიშვნის და წარმოების გაწესრიგებაში. ფართო კომმუნალურ ავტონომიის მოთხოვნა— ეს ქვაკუთხედია დასავლეთ ევროპის სოციალისტურ პარტიათა პროგრამაში. პარტიულ ორგანიზაციათა მიერ მუდმივი მხნე მოწოდება მუშათა წრეებისა მედგარ, განუწყვეტელ და ყოველდღიურ ბრძოლისადმი სრულის თავისუფლების დასაპყრობათ მუნიციპალიტეტების მიერ მათ მიჩენილ სფეროში, ცხადად გვიჩვენებს მთელს სიდიადეს, მთელ მნიშვნელობას ამ საკითხისას სოციალისტების მიერ დასახულ რეფორმების განხორციელებისათვის. საკმაოა ნახოთ ის აგიტაცია და პროპაგანდა, რომელნიც ცეცხლივით მოედება ხოლმე ერთბაშათ დასავლეთის განათლებულ სახელმწიფოებს მუნიციპალურ არჩევნების დროს, რათა მიხვდეთ, რომ საქმე იმ სოციალურ ბრძოლის პირველხარისხოვან საქმეს ეხება, რომელიც მომავალ ახალ წყობილების შესავალს შეადგენს. რაკი მუშათა კლასსმა, ინტერნაციონალურ სოციალისტურ კონგრესსის მიერ წაქეზებულმა ერთხელ შეიგნო მნიშვნელობა ბრძოლისა კომმუნის დამოუკიდებლობისათვის, რაკი ერთხელ მტკიცედ შეითვისა ის აზრი, რომ არა არს თვითმმართველობა გარეშე თვითმოქმედებისა,—დაიწყო კიდეც ეს ბრძოლა და აწი იგი არ შეჩერდება იმ დრომდე, ვიდრე თავის მისსიას არ შეასრულებს ამ სფეროში. მისის მეცადინეობით კომმუნათა ავტონომიის საქმემ უკვე რამდენადმე წაიწია წინ. აქა-იქ იმდენად შესამჩნევათ, რომ შიშს და განგაშს იწვევს მმართველ ბურჟუაზულ კლასსთა შორის. უმეტეს განვითარებას დასავლეთში, ავტონომიურ უფლებათა მოხვეჭის და გაფართოვების მხრივ, ინგლისის ქალაქებმა მიაღწიეს, რომელნიც ამიტომაც უმეტესად კეთილგანწყობილნი არიან.

ქალაქები ინგლისში სრულიად დამოუკიდებელნი არიან ცენტრალურ მთავრობისაგან. გადაჭარბება არ იქმნება ვსთქვათ, რომ აქ არ სუფევს არავითარი ოპეკა პირველთა მიმართ უკანასკნელის მხრივ. მუნიციპალური თავისუფლებანი, რომელთაც ესეთი განვითარება მიიღეს აქ, არ უარჰყოფენ, ცხადია, ერთნაირ კავშირს ქალაქებისას სახელმწიფოსთან. ხოლო ადმინისტრაციის ჩარევა ადგილობრივ საქმეებში იმ სახით, როგორც ეს ევროპის კონტინენტსა და ნამეტურ რუსეთსა სჩვევია, ინგლისელებისათვის რაღაც გაუგებარი რამ არის. ასეთ მდგომარეობას ერთის მხრით ხელს უწყობს ცენტრალურ მთავრობის ადგილობრივ ორგანოთა ერთნაირი ორგანიზაცია: აქ არც გუბერნატორებია, არც გენერალ-გუბერნატორები, არც პოლიცმეისტრები, არც მაზრის და საეროზო უფროსები, არც ისპრავნიკები და სხა, რომელნიც ეგრე აბრკოლებენ რუსეთში ყოველგვარ თვით მოქმედებას ქალაქსა თუ სოფელში.

მაგრამ იმ თავისუფლებასთან ერთად, რომლით სარგებლობენ ინგლისური მუნიციპალიტეტები, არის ერთი მეტად არსებითი შეზღუდვა: ქალაქის არჩევნებში მონაწილეობის ნება, ინგლისურ კანონების ძალით ეძლევათ მხოლოდ იმ პირთ, რომელთაც საკუთარი კერა, საკუთარი ოჯახობა გააჩნიათ. ის კია, რომ ამ არჩევნებში ქალები მამაკაცებთან ერთად გამოუკლებლივ იღებენ მონაწილეობას, რაიც აძლიერებს ამომრჩეველთა რიცხვს და, მაშასადამე, რამდენათმე ასუსტებს ზემოდ აღნიშნულ შეზღუდვის გავლენას.

კომმუნალურ-ავტონომიურ უფლებათა მხრივ, შესამჩნევად ჩამორჩენილია საფრანგეთი, რომელსაც, თუ მის პოლიტიკურ წესწყობილებას მივიღებთ მხედველობაში, პირიქით უნდა გაესწრო სხვა სახელმწიფოებისათვის დემოკრატიულ პრინციპების გატარების საქმეში. ხოლო თუ ეს ასე არ არის, ამის მიზეზი გახლავს სწორედ ის სახელმწიფო ცენტრალიზმის სისტემა, რომელიც ნაპოლეონის დროიდან დაწყებული დღემდე გაბატონებულია საფრანგეთში, და რომელიც, ვითაარცა ჰია, ღრღნის ადგილობრივ ორგანოთა ყოველგვარ თვითმოქმედებას და აჩერებს მუნიციპალურ და საერთოდ საზოგადოებრივ ცხოვრების თავისუფალ, ნორმალურ განვითარებას.

ადმინისტრატიული ოპეკა კომმუნაზე—ეს დიდი ხნის საქმეა საფრანგეთში. ძველ რეჟიმის მეფობის დროს ამ ოპეკამ იმ ზომას მიაღწია, რომ როგორც სოფლის, ისე ქალაქის კომმუნათა მცხოვრებთ თავიანთი მერების (უფროსების) არჩევის უფლებაც-კი არ ჰქონდათ. მართალია, შემდგომ რესპუბლიკანურმა მთავრობამ მუნიციპალიტეტს მისცა ზოგიერთი უფლებანი და მათ რიცხვში მერის არჩევის უფლება, მაგრამ ადმინისტრატიული დამოკიდებულება კომმუნათა ცენტრალურ მთავრობისაგან მაინც თითქმის ხელუხლებელი დარჩა.

მერი საფრანგეთში არა მარტო არჩეული პირია, რომელიც განაგებს ქალაქის მეურნეობას, არამედ ამასთანავე იგი მთავრობის მოხელეა ადმინისტრატიულ და, ასე გასინჯეთ, სამოსამართლო ფუნქციებით აღჭურვილი (განაგებს ადგილობრივ პოლიციას, ასრულებს პოლიციის მოსამართლის მოვალეობას და სხ.), და როგორც ასეთი, იგი პირდაპირ ქალაქის პრეფექტს ექვემდებარება.

თვით მუნიციპალური საბჭოებიც, რომელნიც თავის შემადგენლობით უმეტეს ნაწილათ დემოკრატიულია (აქ ქალაქის არჩევნებში საყოველთაო ხმის მიცემის სისტემაა ერთის დიდის გამონაკლისით—ქალები სრულიად მოკლებულნი არიან საარჩევნო უფლებას, ისევე როგორც საპარლამენტო არჩევნებში), იმ ზომამდე არიან შეზღუდულნი თავიანთ საქმეების თავისუფლათ გარდაწყვეტაში, რომ არც ერთი მათი ცოტად თუ მეტად საყურადღებო დადგენილება სისრულეში ვერ შევა ისე, თუ წინდაწინ ადმინისტრატიულ მთავრობის დასტური არ მიიღო (პრეფექტის, პრეფექტურის საბჭოსი, მინისტრის თუ სხვათა).

პარიზიც-კი, ეს მთელი მსოფლიოს დედა-ქალაქი დღემდე არა სრულწლოვანი, ოპეკის ქვეშ მყოფ პირის ცხოვრებით სცხოვრობს. ცენტრალურ მთავრობის უფლებანი, მისი საკონტროლო ფუნქციები ამ ქალაქის მიმართ იმდენად ვრცელია, რომ ძნელია კაცმა სთქვას, ვინ განაგებს ფაქტიურათ ქალაქის საქმეებს, მოქალაქეთა მიერ ამორჩეულნი პირნი, მუნიციპალურ საბჭოს წევრნი, თუ ცენტრალურ უფლების წარმომადგენელი—პრეფექტი.

კომმუნს, რომელსაც უფლება არა აქვს თავის თავს ეს თუ ის ბეგარა დაადვას თავისუფლად, რომელსაც არ შეუძლია უკონტროლოთ და მთავრობის ნება-დაურთველად თავის საშუალებანი მოიხმაროს თავისივე საკუთარის საჭიროებათათვის, რომელსაც უფლება არა აქვს მოაწყოს თავის დაცვა*) ან ისეთი საქმენი, რომელთაც მიზნად აქვთ საზოგადოების კოლექტიურ ინტერესებს ემსახურონ,—რასაკვირველია ერთობ მცირე მსგავსება ექნება თვითმმართველ ერთეულთან, თავისუფალ საზოგადოებრივ კავშირთან.

რამდენჯერ არ ეცადნენ აეხადათ კომმუნათაგან ცენტრალურ მთავრობის უღელი, მაგრამ ყოველმა ცდამ ამაოდ ჩაიარა იმ ტრადიციათა წყალობით, რომელთაც ძალზედ გაედგათ ფესვები მმართველ და ბურჟუაზიულ სფეროებში. ამგვარ ცდათაგან საყურადღებოა აღვნიშნოთ: ერთი დამფუძნებელ კრებისა და მეორე ყოფილ რესპუბლიკანელთა, მეორე იმპერიის დროს, რომელთაც შეიმუშავეს 1865 წ. ლიბერალებთან ერთად ნანსის ცნობილი პროგრამმა დეცენტრალიზაციისა, ვინაიდგან უკმაყოფილონი იყვნენ ადმინისტრატიული ოპეკის მეტისმეტის გაძლიერებით ამ ხანაში**).

ცენტრალიზაციას, რომელმაც დაიპყრო თითქმის ყოველი სფერო ცხოვრებისა, დაღი დააჩინა არა მარტო სახელმწიფო დაწესებულებათ, არამედ მთელ სოციალურს ცხოვრებას, ადმინისტრაციას, ეკონომიური სფეროს და, ასე გასინჯეთ, ხელოვნება - ლიტერატურასაც - კი, — ეხლაც ბევრი მტერი ჰყავს თვით საფრანგეთში—საზოგადოების შეგნებულ ნაწილში. ცენტრალიზაციასთან ბრძოლის ჩვენი დროის ცდათ უნდა ჩაითვალოს სხვათაშორის იმ მრავალ საზოგადოებათა (cercles réqionaliates) დაარსება რომელთაც ცხოვრების სხვა-და-სხვა დარგში დეცენტრალიზაციის გატარება დაუდვიათ მიზნათ. მრავალმა ამ საზოგადოებათაგან უკვე დიდი სახელი მოიხვეჭა. ფრანგული ეგრედ-წოდებული „რეგიონალიზმი" იმდენად სწრაფათ მოედვა ქვეყანას, რომ ისეთ პროვინციებშიც კი, როგორიც არის ბრეტანი,

*) „სახალხო გაზეთი" N 8.

*) შენიშვნა. 1884 წ. საფრანგეთში გამოიცა კანონი, რომელმაც ჩამოართვა უფლება თავის პოლიციის ორგანიზაციისა ყველა იმ ქალაქებს, სადაც ორმოც ათასზე მეტი მცხოვრები ითვლებოდა.

**) Alb. Thomas „Le socialisme et les municipalités", გვ. 11 და 12.

ხი პირველ რიგში წარმოდგა. რუსებისა და ქართველების ინტერესები თავპირდაპირდნენ ერთი მეორეს. რიცხვით ქართველები ოთხჯერ მეტია, ვიდრე რუსები. სადაც სამართალია, ქალაქის თვითმართველობაში, უმრავლესობა იმ ერისა უნდა იყოს, ვინც ქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობას შეადგენს. მაგრამ აქაური რუსობა მარტო არის ასეთ სამართლისაგან და თხოულობს, უმრავლესობას თვითმართველობაში ჩვენ უნდა შევადგენდეთ, რადგან ქართველები რუსის ქვეშევრდომნი არიანო. ქალაქის მცხოვრებნი ბევრჯელ ამორჩევენ ქალაქის თავად ქართველს, მაგრამ რუსებს სადაც ჯერ არს იქ მიუმართავთ და დახმარება უთხოვნიათ ხოლმე. „ტუზემცებს" არ ამტკიცებენ და სამედო პირსა ნიშნავენ. მაგრამ ქალაქის საქმეები ამით სანუგეშო მდგომარეობაში ვერ არიან. დიმიტრიევი და ბერენსი არა „ტუზემცები" იყვნენ, მაგრამ ქალაქის საქმეები სწორედ მათ დროს აირ-დაიწყო. 1905 წელში სოხუმმა ქალაქის თავად ნიკო თავდგირიძე ამოირჩია. მთავრობამაც დაამტკიცა, სოხუმის ქალაქის თვითმართველობას მოქმედება დაეტყო, რადგან ადგილობრივმა მკვიდრმა იცოდა ყველა საქმეები და ამასთან გულიც შესტკიოდა. მაგრამ რეაქციის დროს სოხუმს მოევლინა „ჭეშმარიტ რუსთა კავშირი". ამათ მედგარი იერიში მიიტანეს მათთვის არა სასურველ ქალაქის თავზე, „ჭკა მაგასაო" გაიძახოდნენ. ყველა ქართველები გავაძევოთ სოხუმიდანაო და სხვა. აი „ჭეშმარიტ რუსთა" დევიზი. არავითარ საშუალების წინ ქედი არ მოიხარეს და არ იუკადრისეს. „ჭეშმარიტ რუსთა" პირველი მსხვერპლი ეპისკოპოსი შეიქნა, მას ნიკო თავდგირიძე მიაყოლეს. ხანმოკლე იყო თავდგირიძის ქალაქის თავობა, მაგრამ ბევრი სარგებლობა მოუტანა. ელექტრონის განათება თავდგირიძის თაოსნობით და მეცადინეობით მოეწყო და ბევრი სხვაც.

შარშან ქალაქის თავად აირჩიეს გრაფი სოლოგუბი, რომელიც ადგილობრივ მკვიდრის ქალი ჰყავს ცოლად. მოქალაქენი ჰფიქრობდნენ, ნეიტრალობას გამოიჩენსო. ჯერ არაფერი ითქმის ამაზე. ვნახოთ, რა იქნება მომავალში. სოლოგუბი ზღვის კაპიტანია, დროს ატარებს მიხვეული, მდიდარი კაცია, ჯამაგირს არ იღებს ქალაქიდან. საქმეკი, თუ იმუშავებს, ბევრი ექნება. გასულ წელს აქაურმა ქართველობამ მოითხოვა სკოლისა და ეკლესიისთვის ადგილი. საბჭომ დაადგინა, ადგილი მიეცესო, მაგრამ გამგეობის წევრმა ანჩაბაძემ ცალკე პროტესტი შეიტანა. სათანადო მთავრობამ ქართველობას უარი უთხრა, საბჭოს დადგენილება არ დაამტკიცა. ეხლა კვლავ აღიძრა ეს საკითხი. იმედი ჰქონდათ, ქალაქის თავი დაგვეხმარებაო, მაგრამ იმედი გაუცრუვდა სოხუმელ ქართველობას. სოლოგუბმა უთხრა ქართველ ხმოსნებს, თქვენ კიდეც რომ დაადგინოთ, მე გუბერნატორს არ დავამტკიცებინებო. შუა ქალაქში ადგილს ვერ დაუთმობთო. თუ გინდათ, სადმე განაპირა ადგილს მოგცემთ და 500 მანეთით დაგეხმარებითო. ამ სიტყვებმა მეტად დაადონა ქართველი ხმოსნები.

**ექაური.**

# სონეტი

* * *

დაჰქრის სიო ფრთა გაშლილი,
ჰავის ატოკებს... აბუტბუტებს;
ვარდი გულ მკერდ გაღეღილი
თვალ-ჟუჟუნა ნამს იხუტებს.

* * *

ჰფითქს სიცოცხლე... თრთის ედემი...
არვინ უწყის რაა დაღლა...
მეც... მეც ვლაღობ სული ჩემი
ცის კამარას აღემაღლა.

* * *

სატრფოვ! ნუ კრთი... ძირს თავს ნუ ხრი,
გაიფანტა უკვე მწუხრი...
წალკოტს სხივი დასციმციმებს...
ახ, ვერ მოვწყდი სევდის მთას მწვავს,
ვფიქრობ: თუ ვინ გამინასკვავს
ჩემს დაწყვეტილს ჩანგის სიმებს?

**ი. გრიშაშვილი.**

# თეატრი და ხელოვნება

მოვიგონებთ ქართველ საზოგადოებას, რომ დღეს ქართულ თეატრში დანიშნულია ფოცხვერაშვილის კონცერტი, რომელზედაც შესრულებული იქნება ქართული ეროვნული სიმღერები ორკესტრისათვის შემუშავებული სალამოს გამმართავის მიერ; ამავე სალამოზე შესრულებული იქნება ფოცხვერაშვილისავე მუსიკალური თხზულება „ბრძოლა ბაყბაყ დევისა ამირანთან"; ამ ნაწარმოების შესრულების დროს სცენაზედ დაიდგმის ცოცხალი სურათები ამირანისა და ბაყბაყ დევზედ—ხალხურ თქმულებიდან. სურათების დადგმას ხელმძღვანელობს მხატვარი რ. ზომმერი.

კონცერტზე ორკესტრი აასრულებს იპპოლიტოვ-ივანოვის „ქართულ მარშს", რომელიც ავტორს მარიამ ვახ. ჯამბაკ.-ორბელიანისათვის მიუძღვნია და „დავლურსა და ლეკურს" ბალანჩივაძის ოპ. თამარ ცბიერიდან.

საზოგადოთ სალამო საინტერესოა და იმედია ქართველი საზოგადოება დაესწრება და ყურადღებით მოისმენს ჯერ კიდევ მისთვის ახალ ნაწარმოებებს.

# უცხოეთი

**ომი სამხრეთ ამერიკაში.**

ვაშინგტონელ დეპეშის მიხედვით სტატს-სეკრეტარს ნოკსს განუზრახავს განაახლოს ცდა პერუსა და ეკვადორს შუა ზავის ჩამოსაგდებად. ორივე ხალხის სულიერი განწყობილება ისეთია, რომ ომი ყოველ შემთხვევაში მოსალოდნელია. თავდამსხმელი პოზიცია ეკვადორს უჭირავს, რომელსაც ჩილის დახმარების იმედი აქვს. უთანხმოება ეკვადორს და პერუს შორის 1830 წ. ე. ი. ეკვადორის რესპუბლიკის დაარსების წლიდან არსებობს და სამფლობელოების განსაზღვრას ეხება. მას შემდეგ არასოდეს სრული თანხმობა არ ყოფილა ამ ორ მოსაზღვრე სახელმწიფოს შორის. ამ ბოლო დროს ორივე მხარემ გადასწყვიტა ესპანიის მეფისთვის ეთხოვათ შუამავლობა მაგრამ მისი გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ. ესპანიის გარეშე საქმეთა მინისტრი გარჩია პრიეტო თავის ამერიკელ კოლლეგა ნოკსთან ერთად ცდილობდა ორივე მხარის მორიგებას, მაგრამ ჯერ-ჯერობით მისმა ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. ამ ცოტა ხნის წინად ორივე მხარე მზად იყო მშვიდობიანი მოლაპარაკება გაემართათ, მაგრამ კაუჩუკის ფასის აწევამ ეკვადორს ხელახლა გაუღვიძა მადა დაიბრუნოს სადაო პროვინციები, რომელნიც დიდ ძალ კაუჩუკს იძლევიან. ამგვარად თუ ომი დაიწყო ის ევროპის საავტომობილო წარმოებას „დაედება სინიდისზე". ამ ომის შესაძლებლობას ევროპა გულგრილად ვერ მოეპყრობა, მით უმეტეს თუ მასში მონაწილეობას მიიღებს ჩილი, როგორც ეკვადორის მოკავშირე და ბრაზილია, როგორც პერუს მეგობარი. (გ. ზ.)

**კრიტის საკითხი.**

ათინიდან იუწყებიან—პოლიტიკურ ჰორიზონტზე სრულიად მოულოდნელად გაჩნდა შავი ღრუბლები. აქ მოვიდა ამბები, რომ ოსმალეთის მთავრობა ჯარის მობილიზაციას შეუდგა. ათინის გარნიზონის აფიცრები მოითხოვენ დაუყოვნებლივ ომი გამოაცხადონ. სამხედრო კავშირი, რომელმაც ამას წინად პოლიტიკურ საქმეებში არჩევაზე უარი განაცხადა, კვლავ ცდილობს ძალა ხელში ჩაიგდოს.

**აჯანყება ალბანეთში.**

უსკიუბიდან იუწყებიან: დრენიცის მიდამოებში ჯარი აჯანყებულთ არ შეხვედრია. ოფიციალური ცნობა, ვითომ აჯანყებულები გაიფანტნენ, ტყუილი გამოდგა. აჯანყებულები მხოლოდ შესაფერ მომენტს ელიან. თუმცა მაშიდ-შევკეთ-ფაშა იტყობინება, აჯანყება მინელდაო, აჯანყება მაინც უფრო და უფრო ფართო ხასიათს იღებს. მხოლოდ ბრძოლის თეატრი ალბანეთის მთებში გადადის. იქიდანვე იუწყებიან, რომ სამხრეთიდან ლიუმში დრენიცის გზით რამდენიმე ათი ათასი მეამბოხით მივიდა ბელადი დიბრელი იუსუფ-ყარა-ჰასანიო. ამის გამო სკუტარიის მცხოვრებთ დიდი აღელვება ეტყობათო. აღელვება ეტყობათ აგრეთვე კრასნიჩების და გაშის ტომებსო. უკანასკნელნი კათოლიკები არიან.

# რუსეთი

✦ **კიდევ სახალხო სკოლების ინსპექტორი ბოიკოვი.** ამ ორი სამი დღის წინეთ ჩვენ გაზეთში იყო მოხსენებული კურსკის გუბ. დიმიტრიევის მაზრის სახალხო სკოლების ინსპექტორის ბოიკოვის „მოღვაწეობის" ბავშთა აღზრდის ასპარეზე. „რეჩი" მის შესახებ შემდეგ დამატებით ცნობებს გადმოგვცემს: მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან სახალხო სკოლები. ბოიკოვის წყალობით ერთმა მასწავლებელმა შესჩივლა მას რომ შეშა დამპალია, ცეცხლს ვერ ანთებს, რის გამოც კლასში სინესტე და სიცივეა გამეფებულიო. ამაზე ინსპექტორმა პიუგო:—ჰმ, რას ამბობ, რას. ექვსი გრადუსი სიცივე განა სიცივეა შენ რა გიჭირს. ტამბოვის გუბერნიაში რომ ისპექტორად ვიყავი, ერთხელ ერთ სკოლას ვეწვიე, ვხედავ მასწავლებელიც და მოსწავლენიც კალოშებით ტყავებში გახვეულნი სხედან. მეც ცოტა ხანს ჩამოვჯექი, მაგრამ მთლად გავიყინე. მინდოდა რამე ჩამეწერა უბის წიგნში, მაგრამ მელანი გაყინული იყო. მასწავლებელმა ბევრი უბერა სამელნეს, უნდოდა გაეთბო, მაგრამ ვერ გაათბო აი ასეთი სიცივეებია. შენ რა გიჭირს, ბედნიერი ხარ.

ერთმა მასწავლებელმა სთხოვა ინსპექტორს აღძრას შუამდგომლობა ქალაქის გამგეობის წინაშე ახალი შენობა აგოს სკოლისთვის, რადგან ეხლანდელი მეტად ძველი და პატარაა, ლამის ბავშვები შიგ გამოიხრჩნენო.—ჰმ, ჩემო გარგო, ეგ განა ვიწროობაა? ტამბოვის გუბერნიაში ერთხელ შევიარე, საეკლესიო სკოლა-თავშესაფარში. ოთახში იწვნენ დავრდომილნი ბატი საბუდარში კვერცხებზე იჯდა და ყიყინებდა, იქვე ხბო ბღაოდა. გვერდით ხუთი სკამი იდგა მოწაფეთათვის. კინაღამ შიგ გამოვიღრჩე, შემიგუბდა სული. მაშინვე ყველაფერი შევატყობინე მზრუნველს. ვხედავ ორი წლის შემდეგ მინისტრისაგან მივიღე შეკითხვა რა განკარგულება მოახდინე ხბოს შესახებ. დასწყევლოს ღმერთმა, მე სკოლაც დამავიწყდა და სამინისტროში კი თურმე ხბოზე აქვთ თათბირი. ცოტა შევფიქრიანდი, რა მექნა. მაშინ ერთმა მირჩია-მისწერე რომ ხბო დარჩენილ გადასახადებში წაიყვანესო. მაგრამ ამით უფრო ხიფათში შევემთხვევი, ვიფიქრე მე და მივწერე: სკოლა საეკლესიოა და არა სამინისტრო, მაშასადამე ხბო სამინისტრო უწყებას არ ეკუთვნის, ამიტომ ხბოზე ზრუნვა ჩემ კომპეტენციაში არ შედის... ამისთანა მზრუნველის ხელში რასაკვირველია მასწავლებელნიც და მოსწავლენიც ბედნიერნი იქნებიან.

✦ **შეტაკება.** რუსულ გაზეთებს ატყობინებენ: ტორცკიდან სოფ. დემარინოში შეტაკება მოუხდათ გლეხებს და კუკუშინის საზოგადო ტყის მცველებს. მცველები მოჭრილ ხე-ტყეს ეძებდნენ. შეტაკების დროს ტყის მცველმა მოკლა გლეხი გორანოვი. გაცეცხლებულმა გლეხებმა ძალზე სცემეს მცველებს და დანით დასჭრეს რწმუნებული ლიუბიმოვი. გამოძიება სწარმოებს.

✦ **ებრაელების გადასახლება.** სათათბიროს დეპუტატმა ფრიდმანმა ებრაელებისაგან დეპეშა მიიღო. როგორც დეპეშიდან სჩანს შჩერბინიდან ეკატერინოსლავის, საგუბერნიო სამართველო მრავალ ებრაელთა ოჯახებს ასახლებს ექვს. მაისს იმათ თხოვნით მიმართეს შინაგან საქმეთა მინისტრს დაეხმაროს მათ, იხსნას დაღუპვისაგან, შეაჩეროს გადასახლება. წინააღმდეგ შემთხვევაში ცოტა დრო მაინც მისცენ საქმეები ლიკვიდაციისთვის. ამ უკანასკნელ ხანებში ფრიდმანს მრავალი დეპუტაცია მისდის კურსკის, ტულის, ტამბოვის და სხვ. ადგილებში მცხოვრებ ებრაელებისაგან. ყველას მათ ადმინისტრაცია ასახლებს და ისინიც დეპუტატს სთხოვენ შემწეობას. უმეტეს შემთხვევაში ებრაელების შუამდგომლობას მთავრობა უყურადღებოდ სტოვებს. დეპუტატმა ფრიდმანმა შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტისაგან მიიღო პასუხი იმ შუამდგომლობის შესახებ, რომელშიაც იგვ სთხოვდა მინისტრს არ გაეასახლებინა ხარკოველი ებრაელები. პასუხში სხვათა შორის მოხსენებულია, რომ საგუბერნიო სამმართველოს მოქმედება მათ სენატში და შინაგან საქმეთა სამინისტროში განასაჩივრონ,

✦ **ოჟეშკოს სიკვდილის გამო.** გროდნოს გუბერნატორმა მოითხოვა გადასაშინჯავად სიტყვების ტექსტი, რომელნიც მწერალ ოჟეშკოს საფლავზე უნდა წარმოსთქვან. ამის გარდა განკარგულება მოახდინა გვირგვინები ხელში არ ეჭიროთ, განსაზღვრა ორატორთა რიცხვიც.

✦ **სამართალში მიცემა.** სარატოვში სამართალში მისცეს პირველი სათათბიროს ყოფილი წევრი, ვექილი მალინინი და სარატოვის მაზრის სოფ. სოსნოვკის 37 გლეხი. მათ სოც, რევოლიუციონერთა პარტიის წევრობა ბრალდებათ.

✦ **ოქტომბრისტების პასუხი ინგლისელ დეპუტატებს.** როგორც ვიცით ფინლიანდიის შესახებ კანონპროექტის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლეს ევროპის პარლამენტების წარმომადგენლებმა. აი რას სწერენ ოქტომბრისტები ინგლისის პარლამენტის დეპუტატებს მათგან მოწერილ პროტესტის საპასუხოდ „მოწყალეო ბატონებო! ჩვენ 17 ოქტომბრის კავშირის საპარლამენტო ფრაქციის წარმომადგენელნი, სახელმწიფო სათათბიროს წევრე-

---

პროვანსი, ლორენი ესეთი საზოგადოებანი გაჩნდა და ამასთანავე დიდი გავლენაც მოიპოვა მკვიდრთა შორის. ერთი ამ გვარი საზოგადოება დაარსდა სულ ეხლახან (რამდენიმე თვეა მას აქეთ) თვით პარიზში, ამ ცენტრში ყოველგვარ ცენტრალიზმისა. ამ საზოგადოების დაარსების საჭიროებას პარიზში თვით დამფუძნებელნი იმ მოსაზრებით ჰხსნიან, რომ პროპაგანდა დეცენტრალიზაციის იდეისა პროვინციაში მხოლოდ მაშინ გამოიტანს ნამდვილ ნაყოფს, როდესაც თვით პარიზში მოხდება დეცენტრალიზაცია და ფედერალიზმი მასში მოიკიდებს ფეხს.

დეცენტრალიზაციის წინააღმდეგ, ღვთის წინაშე, არც ფრანგული ბურჟუაზიული პარტიებია, როგორც არ არის წინააღმდეგი და ხშირად სიხარულითაც მიჰმართავს მას ხოლმე რუსის მთავრობა, ხოლო დეცენტრალიზაცია იგი, როგორც გეხსენებათ, ფრიად თავისებურია: ეს გახლავს ცენტრალურ უფლების დანაწილება „თავისიანებს" შორის. საფრანგეთში კომმუნათა უფლება იყოფა მთავრობასა და პრეფექტებს შორის, რუსეთში მთავრობასა და გუბერნატორებსა ან დროებით გენერალ-გუბერნატორებს შორის.

გარნა შედარება ამ ორ ქვეყანათა შორის, თავის თავად ცხადია, ამაზე შორს ვერ წავა. ქალაქის თვითმართველობა რუსეთში ნომინალურად არსებობს კანონითაც და ფაქტიურადაც-კი ის თითქმის სრული ფიქციაა. თუ იმ კანონების ძალით, რომელნიც ეკუთვნიან ეგრედ-წოდებულ „დიად რეფორმათა ეპოქას" და ცნობილნი არიან „1870 წლის საქალაქო დებულების" სახელით, ქალაქის კომმუნამ მიიღო რამდენიმე თვითმმართველობა და თავისუფლება მიჩენილ კომპეტენციის ფარგლებში, სამაგიეროდ შემდგომში 1892 წლის კანონით ქალაქს ეს მცირე უფლებანიც კი ჩამოერთვა და ამგვარად ქალაქის თვითმართველობა ცენტრალურ უწყებას ბიუროკრატიულ დაწესებულებათ, ქალაქის საქმეთა კანცელარიათ გარდიქცა.

ის, რაც პირველ ყოვლისა ახასიათებს რუსულ კანონმდებლობას ქალაქის მმართვა-გამგეობაში, გახლავს ძველის-ძველი ვიწრო-კლასსობრივი სისტემა არჩევნებისა, პრუსიის სისტემის მზგავსად აგებული. ეს მსხვილ საკუთრების, ცენზის სისტემაა, რომელიც ამასთანავე კი დევ უფრო დამახინჯებულია მით, რომ მასში შეტანილია სარწმუნოებრივ შეზღუდვის პრინციპი: იმ დებულებით, რომელიც ეხლა ძალაშია, არა ქრისტიანეთ ჩამორთმეული აქვთ პასსიური და აქტიური საარჩევნო უფლება ქალაქის არჩევნებში. თავის თავათ ცხადია, რომ ეს უფლებათა შეზღუდვა მიმართულია უმთავრესად ებრაელთა წინააღმდეგ, რომელთაც სრულიად წართმეული აქვთ კომმუნალური საარჩევნო უფლება ერთის მცირედის გამონაკლისით: მუდმივ ბინადრობისათვის მიჩენილ ადგილებში ებრაელებს ნება აქვთ თავიანთი წარმომადგენელნი იყოლიონ საბჭოში, თუმცა მთავრობის მიერ დანიშვნით და არა უმეტეს ხმოსანთა რიცხვის 10 პროცენტისა.

შევნიშნავთ აქვე, რომ საზოგადოთ სარწმუნოებრივი და ეროვნული მოსაზრებანი დიდ როლს თამაშობენ რუსეთში სახელმწიფო ცხოვრების სხვა და სხვა დარგში, ნამეტურ თუ საქმე ეხება განაპირა ქვეყნებს, არა რუსთა მიერ დასახლებულთ. მაგ. კავკასიაში რუსის ჩამომავლობის მოხელენი სახელმწიფო სამსახურში სარგებლობენ განსაკუთრებულის შეღავათებით ებრაელებს კი სრულიად აღკრძალული აქვთ ყოველგვარი სახელმწიფო სამსახური. იმ პროექტებით, რომელნიც დასავლეთ გუბერნიებში ერობის შემოღებას ეხება და რომელნიც, უეჭველია, მალე კანონათ იქცევა, მთავრობა სხვა და სხვა ხელოვნურის ზომებით (ნაციონალურ კურიების შექმნით სხვათა შორის) რუსებისათვის პრივილეგიურ მდგომარეობას ჰქმნის სხვა ერთა საზარალოთ. პოლონეთში ქალაქის ბიუჯეტშიაც კი, რომლის შედგენაში, თუ სადმე სამართალია, მხოლოდ თვით მოქალაქენი უნდა იღებდნენ მონაწილეობას, ადმინისტრაციის ბრძანებით და განკარგულებით შეაქვთ ერთი მუხლი გასავალისა—„რუსის ჩამომავლობის პირთათვის შემწეობა", ბავშვების აღსაზრდელათ და გზის ხარჯათ, ასე რომ ქალაქ ვარშავის პრეზიდენტი წლიურად 150 მან. ღებულობს თავის ბავშვებისათვის მხოლოდ იმიტომ, რომ იგი რუსის ჩამომავლობისაა. ან და გაიხსენეთ თუნდ ის, თუ რა ეროვნული შეზღუდვანი მოიტანა უკანასკნელმა 1907 წლ. 3 ივნისის საარჩევნო კანონმა.

ქონებრივ და რელიგიოზურ ცენზით შეზღუდვას უნდა დავუმატოთ კიდევ ერთი: ჩვენ ვამბობთ ქალთა სრულ უუფლებობაზე მუნიციპალურ სფეროში, რითაც, ღვთის წინაშე, რუსეთი დასავლეთ ევროპის ბევრ სახელმწიფოთაგან არ განსხვავდება. რუსულ კანონების ძალით, ქალი მოკლებულია როგორც აქტიურ, ისე პასსიურ საარჩევნო უფლებას. მუნიციპალურ არჩევნებში, თუ კი ქონებრივი ცენზი აქვს, მას შეუძლია მხოლოდ ვინმე მახლობელ ნათესავს გარდასცეს თავისი ხმა, თვითონ კი პირდაპირ მონაწილეობას ვერ მიიღებს. ესეა, როგორც ვთქვით, ბევრგან ევროპაში. ასე გასინჯეთ, ეს დიდი ნაკლი ბევრ სოციალისტურ პროგრამმებსაც კი სჭირთ: ამ პროგრამმებში ქალთა საარჩევნო უფლების შესახებ თქვენ ვერაფერს იპოვნით. ხოლო ამ ბოლო დროს დასავლეთ ევროპაში ახალი აზრი იმარჯვებს და ის ძველი შეხედულება, რომლის მიხედვით ვითომც და ქალთა სქესი სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უნარს იყოს მოკლებული, ადგილს უთმობს ახალს. თვით ცხოვრებამ ნათლად დაამტკიცა ამ ძველ დროთა ნაშთის სრული უსაფუძვლობა. იქ, სადაც მამაკაცებთან ერთად ქალებს საარჩევნო უფლება მიანიჭეს, ყველგან მათ ქების მეტი არა დაუმსახურებიათ რა. ცნობილია ფრიად ნაყოფიერი მოღვაწეობა ქალებისა ინგლისში, სადაც იმათ მეოთხმოცე წლების დასასრულს მისცეს საარჩევნო უფლება ადგილობრივ თვითმართველობაში. აქ ქალებს ხმოსნებადაც კი ირჩევენ. ინგლისის ერთმა ქალაქმა ისეთი საპასუხისმგებლო თანამდებობაც კი ჩააბარა ქალს, როგორიც არის მერის თანამდებობა. ამ პირველ ცდამ ინგლისელი ქალები გაამხნევა და ახალი სურვილები დაუბადა. კარგად მოგეხსენებათ, ეგრედ-წოდებულ სუფრაჟისტების ძლიერი და დაუცხრომელი ბრძოლა ინგლისში პოლიტიკურ საარჩევნო უფლებათა მოსახვეჭათ. საზოგადოთ, ქალთა უფლებათა მხრივ ევროპაში ჩრდილოეთის ქვეყნებმა აჯობეს სხვა სახელმწიფოებს. ჩვენა გვაქვს სახეში შვეცია და ნორვეგია, სადაც ქალებს უკვე აქვთ მუნიციპალური საარჩევნო უფლება. ნორვეგიაში კი შარშან აქეთ ქალები საპარლამენტო არჩევნებში ღებულობენ მონაწილეობას. არც ფინლიანდიის ქალები არ ჩამორჩნენ თავის მეზობელ სკანდინავიის ქვეყნებს. აქაური ქალები აგერ ერთი ხანია სარგებლობენ აქტიურ და პასსიურ საარჩევნო უფლებით, როგორც კომმუნებში, ისე სეიმში. ამ უკანასკნელში რამდენიმე ქალი დეპუტატის ფუნქციებსაც კი ასრულებს. 1908 წელში დანიაშიც გამოიცა ახალი კომმუნალური საარჩევნო კანონი, რომლის ძალით ქალებს მიეცათ უფლება კომმუნალურ არჩევნებში მონაწილეობისა და რომელმაც ამასთანავე პროპორციონალური წარმომადგენლობის პრინციპი შემოიღო ამ არჩევნებში.

ყველა იმ შეზღუდვათა წყალობით (ქონებრივი, რელიგიოზური, სქესობრივი), რომელნიც შეტანილია რუსულ კანონებში, ამომრჩეველთა რიცხვი ყველა ქალაქებში სრულ-წლოვან მცხოვრებთა 1%-საც ვერ აღწევს, მაშინ როდესაც ინგლისში, სადაც საყოველთაო საარჩევნო წესი არ მოქმედებს, ამომრჩეველთა რიცხვი ყველა მცხოვრებთა 20%-მდე ადის, საფრანგეთში-კი 27,2%-დე, თუმცა არც აქაა საყოველთაო საარჩევნო უფლება, ვინაიდგან ქალები ქალაქის და საზოგადოთ კომუნალურ არჩევნებიდან სრულიად გამორიცხულნი არიან*). ქალაქის საქმეების გარდამწყვეტათ დღეს რუსეთში არის მცირე ჯგუფი მსხვილ მესაკუთრეთა, მეფაბრიკეთა, მექარხნეთა, მსხვილ ვაჭართა, რანტიეთა და კაპიტალის კიდევ სხვა წარმომადგენელთა, ფართო მასსებს კი, რომელნიც ქალაქის მცხოვრებთა უდიდეს ნაწილს შეადგენენ, თავიანთი წარმომადგენელნი არა ჰყავთ. მათი დაცვა ჩაბარებული აქვს ისეთს პირებს, რომელნიც ცალ-მხრივ—ეგოისტურ ინტერესების მცველები არიან, რომელნიც ყოველ-ნაირად მხოლოდ იმას სცდილობენ, რომ მათი კლასსის პრივილეგიური მდგომარეობა უფრო და უფრო განამტკიცონ.

მართალია, ქონებრივ ცენზს წინადაც 1870 წლის საქალაქო დებულებაშიაც დიდი როლი ჰქონდა, მაგრამ სამაგიეროდ ამ დებულებამ არ იცოდა მცხოვრებთა დანაწილება ქრისტიანებად და არა-ქრისტიანებად, და თვით ზომაც ქონებრივ ცენზისა გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე ეს შემდგომ დაწესდა. გარდა იმისა, ქალაქის არჩევნებში შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ მცხოვრებთა ზოგიერთ იმისთანა კატეგორიებს, რომელნიც 1892 წლის დებულებით ამ უფლებას მოკლებულნი არიან. (ხელოსნები, ნოქრები წვრილი ვაჭრები, რომელნიც სამრეწველო გადასახადს იხდიან).

ამომრჩეველთა რაოდენობის მხრივ განსხვავება ძველსა და ახალ დებულებას შორის, მეტად თვალსაჩინოა, თუ ცალკე ქალაქებს მივმართავთ. ამომრჩეველთა შემცირება, მაგ., პეტერბურგში გადასცილდა 70 პროც., ფსკოვის გუბერნიის ქალაქებში შემცირება გამოისახა 88 პროც., მინსკში—70 პროც., ვილნოში—35 პროც. და სხ. თანაბრად შემცირდა ხმოსანთა რიცხვიც. პეტერბურგში ხმოსანთა რიცხვი 252-დან დაეცა

*) А. Михайловскій—„Реформы гор. самоупр. въ Россій", გვ. 90.

ბი, ფინლიანდიის კანონპროექტის შესახებ თქვენ მიერ გამოგზავნილ მემორიალის გამო გატყობინებთ შემდეგს: ჩვენი სახელმწიფო ცხოვრების სიკანონმდებლო საკითხების გადაწყვეტის დროს ჩვენ პასუხს ვაგებთ მხოლოდ რუსის ხალხის წინაშე, რომელმაც ჩვენ აგვირჩია. იმ საკითხის გადაწყვეტის დროს, რომელიც თქვენი მემორიალის შინაარსს შეადგენს, ჩვენ ჩვენი სინიდისით ვიხელმძღვანელებთ. თუმცა ამ ორ ნაციის შორის მტკიცე მეგობრული განწყობილებაა, მაგრამ საერთაშორისო ეთიკამ მაინც უნდა დაჰგმოს თქვენი ჩვენ სახელმწიფო საქმეებში ჩარევაო".

**სიკვდილის დასჯის წინააღმდეგ.** სასამართლოს რეფორმის კომისიას სახელმწიფო სათათბიროში შეაქვს მოხსენება სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. კომისია აღიარებს, რომ ადამიანს შეუძლიან ზნეობრივად შეურიგდეს სიცოცხლის მოსპობის იდეას, სულ ერთია რა სახიდაც არ უნდა გამოიხატოს ის. რუსულ კანონმდებლობის ძალით სიკვდილით დასჯა ესაჯება ხელმწიფის მკვლელს ან გამზრახველს და აგრეთვე არსებულ წესწყობილების ძალით გარდაქმნის მსურველს. სიკვდილით დასჯის კანონმა 1881 წლიდან მიიღო სახელმწიფო წესის დაცვის ხასიათი. დღითი-დღე იზრდება დასჯილთა რიცხვი და 1905 წლიდან კი მან ერთი-ათად იმატა. პოლიციის დეპარტამენტიდან მიღებულ ცნობებით 1905 წლიდან 1910 წლ. პირველ იანვრამდე გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა და სისრულეშიც მოიყვანეს: 1905 წელში 10; 1906 წ. 144; 1907 წ. 1,139, 1908 წ.—825; 1909 წ.—717. აი ამ მასალით უხელმძღვანელნია სასამართლო რეფორმის კომისიას და კიდევაც შეუტანა მოხსენება სახ. სათათბიროში. ვნახოთ როგორ შეხვდება სახელმწიფო სათათბირო ამ მოხსენებას.

**სტატისტიკა.** მიმავალ წლის აპრილის განმავლობაში რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში სამხედრო სასამართლოებს გამოუტანიათ 41 სიკვდილის განაჩენი. სულ ოთხი თვის განმავლობაში სიკვდილი გადუწყვეტიათ 201 კაცისთვის. აპრილში ჩამოუხრჩვიათ 18 კაცი, ხოლო იანვრიდან აპრილამდე 91 კაცი.

**ნება არ დართეს.** ფინლიანდიის ქალაქ აბოში საბავშვო დღესასწაულის დღეს არ მისცეს ნება ბაირაღები გამოეკიდათ, რადგან ამდღეს სამეფო დღესასწაულის გამო რუსეთის ბაირაღები იყო ყველგან გამოკიდული.

**კომისიას გადაწყვეტა.** სახელმწიფო საბჭოს ფინანსიულმა კომისიამ სხდომა მოახდინა სახალხო განათლებისათვის ათი მილიონი მანეთის გადადების საქმის განსახილველად. მთავრობა ამ საქმისთვის შვიდ მილიონს თხოულობდა, სახელმწიფო სათათბირომ კი იგი ათ მილიონამდე შეავსო. სხდომაზე შენიშნეს რომ მთავრობის მიერ გადადებული თანხა კანონმდებელ დაწესებულებებს არ აქვთ უფლება შეამოკლონ ან მოუმატონ. გადასწყვიტეს ეს საქმე ფინანსიურ და საკანონმდებლო პროექტთა კომისიების შეერთებულ სხდომას გადასცენ განსახილველად.

160-დე, მოსკოვში 180-დან—160-დე, დონის როსტოვში 72-დან—50-დე, ქერჩში—72-დან—26-დე და სხ.*)

შემდეგ, ძველი და ახალი კანონი რომ ერთმანეთს დავუპირდაპიროთ, არ შეიძლება ერთი ფრიად საყურადღებო გარემოებაც არ შევამჩნიოთ, რომელნიც ნათელ-ჰყოფს მთავრობის ტენდენციას, ქალაქის თვითმმართველობის დამოუკიდებლობის მოსპობისაკენ. ჩვენ სახეში გვაქვს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს მდგომარეობა წინად და ეხლა.

1870 წლის კანონის თანახმათ ქალაქის გამგეობის წევრები ირჩეოდნენ საბჭოს მიერ, მხოლოდ და მარტო ამ უკანასკნელისაგან იყვნენ დამოკიდებულნი და მხოლოდ მის წინაშე იყვნენ პასუხისმგებელნი, ადმინისტრაციის მხრივ კი არავითარი დამტკიცება საჭირო არ იყო. დღეს მომქმედ კანონმა კი თანაბარ დადგენილებებში ძირითადი ცვლილება შეიტანა: მართალია, დღესაც გამგეობის წევრებს საბჭო ირჩევს, მაგრამ მათ, როგორც საზოგადოთ ყველა იმ პირთ, რომელნიც ქალაქის სამსახურში შედიან, ნება არა აქვთ თავიანთ მოვალეობათა ასრულებას შეუდგნენ სანამ გუბერნიის უფროსის მიერ დამტკიცებულ არ იქმნებიან თანამდებობაზე, ადმინისტრაციის ეს უფლება „თანამდებობაზე დამტკიცებისა" საქმით გარდიქცა „თანამდებობაზე დანიშვნის" უფლებათ, თავის საკუთარ და არა მცხოვრებთა სურვილის და ნების მიხედვით. რუსეთში აუარებელი მაგალითებია იმისა, რომ გუბერნატორი საკუთარ კანდიდატებს ნიშნავს ან და თანამდებობაზე ამტკიცებს ისეთ პირთ, რომელთაც ყველა კანდიდატთა შორის მიიღო ხმათა უმცირესი რიცხვი ან კიდევ მთლად გაშავებულ იქმნა. ღვნიშნავთ ერთ საოცარ მაგალითს პეტერბურგის ქალაქის თვითმართველობის ისტორიიდან. ქალაქის საბჭოს ქალაქის თავის თანამდებობაზე 1897 წელს აირჩია ხმათა უმეტესობით (77 ხმით) გრაფი მუსინ-პუშკინი. გრადონაჩალნიკმა ეს კანდიდატი დაიწუნა, არ დაამტკიცა იგი და თავის უფლებით ქალაქის თავათ ლელიანოვი დანიშნა ს-ის კანდიდატი, რომელმაც არჩევნების დროს მხოლოდ ერთი ხმა მიიღო. იმავე გრადონაჩალნიკმა იმავე წელს რამდენიმე ქალაქის გამგეობის წევრებიც დანიშნა ეს მოხდა იმპერიის სატახტო ქალაქში. ხოლო რა ჰხდება პროვინციაში? პოდოლის გუბერნიის 17 ქალაქიდან 10-ს ადმინისტრაციამ დაუნიშნა ქალაქს თავი; ათზე მეტი დანიშნულ იქმნა იმავე ადმინისტრაციის მიერ გამგეობის წევრის თანამდებობაზე. საყურადღებო აქ უფრო ის არის, რომ უმეტესი ნაწილი ამ დანიშნულ პირთა ეკუთვნოდნენ, არა ადგილობრივ ამომრჩეველთ არამედ გუბერნატორის კანცელარიის და გუბერნიის სხვა დაწესებულებათა მოხელენი იყვნენ.*) და ამისთანა მაგალითები ათასობითაა. ერთერთ განაპირა ქვეყნის-კავკასიის მიმართ კი ამ ადმინისტრატიულმა „პრაქტიკამ" კანონმდებლობითი დასტურებაც მიიღო სპეციალურ კანონის გამოცემით (1899 წელს მარტში) „თუ საჭიროება მოითხოვს, ვკითხულობთ ჩვენ ამ კანონში, ქალაქის თავის ან სტაროსტის თანამდებობაზე შეიძლება გამწესებულ იქმნან **დანიშვნით, არჩევნების მოუხდენლათ** ისეთი პირები, რომელთაც ამის უფლება აქვთ ქალაქის არჩევნებში: გუბერნიის და ოლქის ქალაქებში მთავარმართებლის განკარგულებით, დანარჩენ ადგილებში— გუბერნატორის ან ოლქის უფროსის განკარგულებით კუთვნილებისამებრ." კავკასიის საერთო კანონიდან გამორიცხვა მარტო ამ შემთხვევით არ განისაზღვრება. იმავე 1899 წლის კანონის ძალით, უმაღლეს კავკასიის მთავრობას უფლება ეძლევა გადააყენოს თავის უფლებით და თავის სურვილის მიხედვით საბჭოს ხმოსნები და აგრეთვე სხვა მოსამსახურე პირები ქალაქის თვითმართველობისა. კიდევ ბევრი სხვა გამონაკლი არსებობს ქალაქის თვითმმართველობის სფეროში, მაგრამ ჩვენ აქ ამას არ გამოვუდგებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ რუსეთში დღემდე არის მისთანა ქალაქები და, ასე გასინჯეთ, მთელი მხარეებიც კი, რომელნიც პოლიტიკურისა თუ სხვა მოსაზრებათა გამო, სრულიად მოკლებულნი არიან ქალაქის თვითმმართველობას და განიგებიან ძველის ბიუროკრატიულის წესით, მთავრობის მოხელეთა საშუალებით.

**გრ. გველესიანი**

(შემდეგი იქნება)

*) Шрейдеръ „Наше город. общест. управ."

*) А. Б. „Город. самоуправ. въ россій" (Книгоизд, „Колоколъ"), 83. 61—62.

## წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ ამ პატარა წერილს. ჩვენი გაზეთის მე-22 ნომერში მოთავსებულია ხარაგაულიდან ბ-ნ „გლადიატორის" წერილი, რომლითაც ის ჩემს შესახებ საზიზღარ ჭორსავრცელებსა და ნამდვილ პროვოკაციას ეწევა. ამისთვის ვიწვევ მას სამედიატორო სამართალში და ვსთხოვ ერთი კვირის განმავლობაში, დღიდან ამ წერილის გამოცხადებისა, აღნიშნოს თავისი მედიატორები ჩემს მედიატორების ვინაობას მისი თანხმობის შემდეგ დაუყონებლივ ვაცნობებ. საქმე უნდა გაირჩეს ადგილობრივ.

**მასწ. მიხ. დეკანოსიძე.**

## განცხადებანი

სახალხო გაზეთის № 6 ში მოთავსებულია სასამართლო ქრონიკა, რომელიც ჩემი პირადი ღირსების წინააღმდეგ არის მიმართული. ქრონიკერი ამბობს—ვითომ მე ჩემ მიერ ბანკისაგან შეძენილი სახლის ძველს პატრონს ხელით შევხებოდე და უდიერად მოვპყრობოდე, ხოლო ბ. ნ. დავიდოვს ძალით ბავშვის გამოგლეჯაც მოენდომებიოს. ყოველივე ეს მტკნარი სიცრუეა: თუმცა მოწმებმა მართლაც ასე უჩვენეს მომრიგებელ მოსამართლეს, მაგრამ მათ ეს პირადმა შურმა და მტრობამ ჩაადენია, რასაც ჩემი მოწმეებით დავამტკიცებ საოლქო სასამართლოში, სადაც გადამაქვს საქმე.

„სახალხო გაზეთის" პატივცემულ მკითხველთ კი იქვების გასაფანტავათ ვაუწყებ საქმის ნამდვილს გარემოებას: სათავადაზნაურო ბანკს ტარვორდიანცისაგან დარჩა შენობა, ძველი პატრონი დიდის დავიდარაბით დაითხოვა და შიგ პოლიციელებიც კი ჩააყენა, რომ ის უკან არ დაბრუნებულიყო. სახლი მე ვიყიდე. ბანკმა მაშინვე ჩამოაშორა პოლიცია, რომელიც ხუთი თვის განმავლობაში იცავდა სახლს; ამით ისარგებლა ძველი პატრონის ცოლმა და ბალკონზე მოიკალათა. მდგმურებმა შემომჩივლეს „არ გვასვენებს, აქაურობას იკლებსო". მე გაგონილი მქონდა მისი ჯიუტობის ამბავი, ვიცოდი თავისი ნებით არ წავიდოდა და ამიტომ პოლიციას მივმართე, აგრეთვე დავიდოვს, რომელიც შემთხვევით ჩემთან იმყოფებოდა. პოლიციამ რასაკვირველია მაშინვე გაიყვანა სახლიდან ქ-ნი ტარვორდიანცი. აი ეს არის სრული სიმართლე, და არა ის, თითქო მე ხელით შევხებოდე და კიბეზე გადმომეგდოს ჩჩვილ ბავშვიანი დედაკაცი.

(1—1) **ილარიონ ჭინჭარაძე.**

## დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** 9½—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ ს. ზილბერშაცი:** 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა,

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

## ამხანაგობა „ოკეანე" ბაღი და რესტორანი

ქართ. თავად-აზნ. ადგილობრივ საზაფხულო თეატრთან. შესავალი მარჯვენა მხრიდან, გალერეიდან. ყოველ დღე დილით 2 ნახ. ს. 5-ის ნახ. ს. და საღამოთი 9-ის ნახ. ს. ღამის 2-ის ნახ. ს. უკრავს ვენის ცნობილი ავსტრიიდან მოსული საკონცერტო სიმებიანი

**ქ ა ლ ე ბ ი ს ო რ კ ე ს ტ რ ი**

ქ-ნ პუშლის გამგეობით

**სადილი და ვახშამი**

სადილი 1 საათ. ნაშუადღევის 5 საათამდის.

2 თავი საჭმელი 50 კაპ., 3 თავი 75 კაპ., 4 თავი 1 მან. სადილს იძლევიან სახლში წასაღებადაც.

**საჭმელები ადგილობრივი და ევროპიული.**

**რესტორანში არის სამი სრულიად ახალი ბილიარდი და ნარდი**

არის აგრეთვე კაბინეტებიც. მიიღება შეკვეთა საქორწილო წვეულებებზე, პიკნიკებზე, სადილებზე, ვახშმებზე, რამდენ კაცზედაც უნდა იყოს. არის მოჩრდილ ხეებული როტონდა ნადიმებისათვის და აგრეთვე ახლილი ადგილი დიდ კაკლის ხის ქვეშ. აძლევენ ქირით სადილის სერვიზს. ტელეფონი № 812. ბაღში შესვლა უფასოა.

(10—ხალ.—6)



**✦ საკვირველება!!! ✦**

## ჯიბის საათებ საუკუნო კალენდრით

ეს საათები გარდა საათებისა აჩვენებს დღეს, რიცხვსა და თვეს. ყოველ 12 საათში ერთხელ. საათის ისარი ავტომატიურად გადასტება ხოლმე და აჩვენებს დღესა და რიცხვსა ეს საათები ნამდვილი „ანკერი" არის. მუშაობს 15 ქვაზე. მავი თუჯისა, მომართვა ყოველ 40 საათში ერთხელ. ფასი მხოლოდ 4 მ. 50 კ. 2 ცალი—8 მ 50 კ. გაიგზავნება ფასდადებით და უფასოდაც და უბეღლადაც, ექვს წლის გარანტია, თუ საათები არ მოეწონათ, უკან ვაბრუნებ ფულს. გაგზავნება 4 ცალისა 40 კ. (ციმბირში 75 კ.- **ჩვენი რჩევაა,** ნუ გამოუდგებით იაფ-ფასიან საათებს, გამოიწერეთ ჩვენგან ეს საათები და ყოველთვის მადლიერნი იქნებით. მშვენიერი მოდის მეწკვები ნამდვილ ახალ ოქროსი მშვენიერი ბრელოკით—75 კ. და 1 მ. 50 კ. 2 ზომიანი 2 მ. 50 კ. და 3 მ. 50 კ.

Адресъ: Экспортн, домъ И. Шгрумфельдъ, Варшава, Св. Креста, 48 отд. 12.
გთხოვთ ამოსჭრათ ადრესი და მაგრად დააკრათ კონვერტზე ან ღია ბარათზე.
Мотцль и К-о, N 33964. (4—ს.—1)

## საქციონერო საზოგადოება

ჟირარდოვების მანუფაქტურის

## ბილლესა და დიტრიხისა

სასახლის ქუჩა, სახლი ქართველ თავად აზნაურობისა,

ტელეფონი № 145.

მაღაზიის ბინის გადაკეთების გამო ორშაბათიდან, ამა მაისის 17 რიცხვიდან ერთი კვირის განმავლობაში მოხდება დიდი იაფი ვაჭრობა საკუთარ და საზღვარ-გარეთის ფაბრიკების საქონლისა.

## საქონელი მეტად დაკლებულ ფასებში

გ ა ი ყ ი დ ე ბ ა.

(2—1056—1)

ელექტრონის გილზის ფაბრიკა

## „როზა"

(„ვარდი")

ტფილისი, უჩებნის შესახვევი, № 5. ტელეფონი № 602.

**საკვირველად მშვენიერი გილზები მეტად წმინდა ფრანგულ ქაღალდისა. იყიდება ყველგან.** (100—ტ.—12)

## ყ ვ ე ლ ა მ,

ვისაც სურს გააკეთოს რაიმე სავაჭრო ან სხვა საქმე თავისავე ინტერესების სასარგებლოდ, წინ და წინვე უნდა შეიხედოს ნამესტნიკის მიერ ნება დართულ კავკასიაში ერთად-ერთ

## სავაჭრო-სამრეწველო ბიუროში ი. ფონ-ბრენერისა.

**ხ ე რ ც ე ე ვ ი ს ქ. № 4.**

იქ იგი მიიღებს სინდისიერ და საქმიან რჩევას, საჭირო ცნობას და სხვას. იქვე დროს დაუკარგველად შეიძლება მოგვარება ყოველგვარ საქმისა, დაწერა ხელშეკრულებისა, კონტრაქტისა, შედგენა ხარჯთ-აღრიცხვისა, პროექტებისა, შენობათა გეგმებისა, შემოწმება საანგარიშო წიგნებისა, გადათარგმნა სხვა-და-სხვა ენებზე საბუთის ქაღალდებისა, შედგენა წერილებისა და სხვა, თანაც შეუძლიან ხსენებული ბიუროთი ისე ისარგებლოს, როგორც თავის საკუთარ კაბინეტით. კანტორა სულ მცირე ფასს იღებს.

გამოცდილი მოსამსახურეები. საკომერციო საიდუმლოს სასტიკად დაცვა. (10—ლგ.—7)



## ყველამ ჩვენი კოხტა კოსტიუმები ჩაიცვით.

ნუ დაიშურებთ კოსტიუმების ყიდვის დროს რამდენიმე მანეთის მიმატებას, რადგან კარგი კოსტიუმი ყოველთვის ფულს აინაზღაურებს. ჩვე საუკეთესო მატერიისაგან კოსტიუმების შესაკერად იმაზე მეტი ფასი არაა საჭირო, რაც სხვა ცუდ და უვარგისს მატერიების კოსტიუმის შესაკერად. საკატიუმე მატერიებში ეხლა მოდაშია „შევიოტ კოლუმბი". იაფ-ფასებში როგორც 6 მან. 25 კ. და საუკეთესო ღ რსებისა 7 მ. 50 კ., ნაჭერი 4 ნახევ. არშინ. მამაკაცის მთელი კოსტიუმისათვის, მატერია არაფრით განირჩევა ისეთისაგან, რომელიც ხუთი-ექვსი მანეთი ღ რს და ყველა იგივე თვისება აქვს, სახელდობ: უმაღლესი სიმკვიდრე, სილაზათე და მოხდენილობა. უკანასკნელი მოდის ფერები: შავისა და მუქილურჯისა. იგზავნება ფოსტით დადებით, უგირაოდ. **თუ საქონელი არ მოგეწონებათ, ფულს უკან დავაბრუნებთ.** გაგზავნა საფოსტო ტარიფის მიხედვით. ოთხი და ზედ-მეტი ნაჭერის გამოწერის დროს თვითეულ ნაჭერთან გამოიგზავნება სარჩულის ნაჭერი.

Адресъ: Экспортн. домъ Т-ва „Альпага", Варшава, отд. 12.
გთხოვთ ადრესი ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტს ან ღია ბარათს
Мотцль и К-о, N 33816. (4—ნ.—1)

## ექიმი

ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისიდან [illegible] იღებს შინაგ., ქალ., [illegible] ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ღონისძიებით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—100

ივანე ზაქ. ტერ-სტეფანოვის

უფლებიანი

## სავაჭრო სკოლა

მისაღები ეგზამენები მოხდება 26 მაისიდან 3 ივნისამდე. სწავლის ფული ქალთათვის 25 პროცენტით ნაკლებია. მიხეილის პროსპ. N 16—18. (2—გაჯ.—2)

## ივ. გრ. ხალათიანი

იღებს ყოველგვარ განცხადებას ადგილობრივ და სხვა ქალაქების გაზეთებისათვის. ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს გაზეთ „დროების"-ს კანტორაში: დიდი ვანქის ქ., № 12. (0—15)

**◀ სამეურნეო ჟურნალი ▶**

## მოსავალი

**წელიწადი მეორე**

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენარეებ-ს **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უ ფ ა ს ო დ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали".

**ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაღაზიაში**

## ი ყ ი დ ე ბ ა

| | | |
|---|---|---|
| 1. | ი. ჭავჭავაძე. კრიტიკული წერილები | 25 კ. |
| 2. | ი. ჭავჭავაძე. პოლემიკური წერილები | 10 „ |
| 3. | ი. ჭავჭავაძე. ცხოვრება და კანონი | 25 „ |
| 4. | ი. ჭავჭავაძე. აი ისტორია | 35 „ |
| 5. | აკაკის სახსოვრად. საიუბილეო კრებული | 40 „ |
| 6. | აკაკი. თორნიკე ერისთავი | 35 „ |
| 7. | აკაკი. კრილოვის იგავ-არაკები, სურათებით | 50 „ |
| 8. | აკაკი. ქუთათლის სიზმარი | 5 „ |
| 9. | აკაკი. ნაცარქექია | 10 „ |
| 10. | აკაკი. გოგია მეჩანგურე | 5 „ |
| 11. | ნ. ბარათაშვილი. ლექსები | 5 „ |
| 12. | ე. ნინოშვილი. გოგია უიშვილი | 5 „ |
| 13. | ე. ნინოშვილი. პ ლიასტომის ტბა | 5 „ |
| 14. | ა. ყაზბეგი. ელისო | 10 „ |
| 15. | ვაჟა-ფშაველა. ცრემლები, ლექსები | 50 „ |
| 16. | კარიჭაშვილი დ. საქართველოს მოკლე ისტორი. ნ. ს. | 40 „ |
| 17. | ნ. მარრი история грузіи | 25 „ |
| 18. | ი. ჯავახიშვილი, საქართველოს მეფე და მისი უფლება | 15 „ |
| 19. | ი. ჯავახიშვილი. საქარ. ეკონომიური ისტორია | 40 „ |
| 20. | ი. ჯავახიშვილი. ქართველ ერის ისტორია | 60 „ |

**და სხვა ყოველ გვარი ქართული წიგნი**

**საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი**

## „ნაკადული"

(წელიწადი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:

**24** წიგნი მცირე წლოვანთათ **12** წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა მიეცემა პრემიად საბავშვო უნივერსიტეტი (სამეცნიერო-პოპულარული ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის) 1. «დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი» —ზღაპარი ევალდისა; 2. »მარჯნები».— ზღაპარი ევალდისა; 3. „თორმეტი და"— ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვრული ახლები კუბიკებზე.

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორჯერ გამოცემა— სამი მანეთი; საზღვარ-გარეთ: წლიურად —შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „ნაკადულის" რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურთ ქარვასლაში).